საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF INTERNALLY DISPLACED PERSONS FROM THE OCCUPIED TERRITORIES, LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო

LEPL INTERNALLY DISPLACED PERSONS, ECOMIGRANTS AND LIVELIHOOD AGENCY

KA030612775998920

საქართველო, თბილისი 0186, მ. თამარაშვილის ქ.15 ა; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 1505;
15a M.Tamarashvili st., 0186, Tbilisi, Georgia; Hot line: (+995 32) 251 00 26; 1505;

№ 03/6842 **22 / მაისი / 2020 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრს ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს

ქალბატონო ეკატერინე,

მოგახსენებთ, რომ სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საქმიანობის შემდგომი სრულყოფის და მასზე დაკისრებული უფლება-მოვალეობების ეფექტიანად განხორციელებისა და გაუმჯობესების მიზნით, შემუშავებულ იქნა სააგენტოს სტრუქტურის ცვლილების პროექტი. მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული სააგენტოში შეიქმნას შიდა აუდიტის სამსახური, რომლის შემადგენლობაშიც შევა ორი სამმართველო - შიდა აუდიტისა და ფინანსური კონტროლის სამმართველო და სამსახურებრივი დისციპლინის უზრუნველყოფის სამმართველო; ასევე, სააგენტოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტში შემავალი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და შესყიდვების სამმართველო ჩამოყალიბდეს ორ დამოუკიდებელ სამმართველოდ - მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველო და შესყიდვების სამმართველო.

„საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სააგენტოს ბიუჯეტი განსაზღვრულია 71,656,243.00 ლარით. სააგენტოს იმგვარ საქმიანობას, როგორიცაა დევნილთა და ეკომიგრანტთა ოჯახებისთვის საცხოვრებელი ფართების შესყიდვა, 2020 წლის 25 მარტიდან დაემატა საქართველოში ემიგრაციიდან დაბრუნებულ საქართველოს მოქალაქეთა რეინტეგრაციის შესაბამისი მხარდაჭერის პროგრამების განხორციელება, საქართველოში საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა, საქართველოში თავშესაფრის მაძიებელ უცხოელთა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირთა ადგილობრივი ინტეგრაციის პროგრამების განხორციელება, გრანტების გაცემა, ინტეგრაციის ცენტრის ფუნქციონირების უზრუნველყოფა. სააგენტო აგრეთვე, ახორციელებს დევნილთა და ეკომიგრანტთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის მიზნით სხვადასხვა პროგრამას და ამ მიზნით უზრუნველყოფს გრანტების გაცემას. აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელებისთვის სააგენტოს განკარგვას მიკუთვნებულ საჯარო ფინანსების ეფექტიანი და ადეკვატური მართვის, ამ პროცესში რისკების გამოვლენისა და შესაძლო დარღვევებზე ოპერატიული რეაგირების მიზნით, ვფიქრობთ, აუცილებელია სააგენტოს ჰქონდეს შიდა ფინანსური კონტროლის მექანიზმი - შიდა აუდიტის სამსახურის სახით.

სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფისა და შესყიდვების სამმართველოს ორ დამოუკიდებელ სამმართველოდ ჩამოყალიბება უზრუნველყოფს, ერთის მხრივ, სააგენტოსთვის საჭირო სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებაზე შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირების პასუხისმგებლობის გამოკვეთას და, შესაბამისად, ფუნქციების უკეთ განხორციელებას, ხოლო, მეორეს მხრივ, სააგენტოს მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფა თავისუფალი იქნება შესყიდვის პროცედურისგან და იგი უშუალოდ პასუხისმგებელი იქნება სააგენტოს გამართულ მატერიალურ - ტექნიკურ ფუნქციონირებაზე.

„საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სააგენტოს საშტატო რიცხოვნება განსაზღვრულია 178 ერთეულით, ხოლო ერთი თვის თანამდებობრივი სარგო - 253,850.00 ლარის ოდენობით. შიდა აუდიტის სამსახურის შექმნა კი იწვევს ამ რაოდენობის გაზრდას 187 ერთეულამდე, ხოლო ერთი თვის თანამდებობრივი სარგოს კი - 274,050.00 ლარის ოდენობით. ამ ცვლილების განსახორციელებლად „საჯარო დაწესებულებებში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 5 იანვრის N1 დადგენილების შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ იზრდება თანამდებობრივი სარგოს ერთი თვის ფონდი ან/ და საშტატო რაოდენობა, შესათანხმებლად უნდა წარედგინოს საქართველოს მთავრობას. ამასთან,

მიზანშეწონილია სამინისტროს დებულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება, რათა სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ-ებში აისახოს შიდა აუდიტის სამსახურის არსებობის დასაშვებობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დანართის სახით წარმოგიდგენთ სააგენტოს საშტატო ნუსხის განახლებულ პროექტს და, თქვენი თანხმობის შემთხვევაში, გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს სათანადო ღონისძიებების განხორციელება.

პატივისცემით,

დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ბესარიონ სიმონიშვილი